

၉၈၅၅၆

იასუნარი კავაბატა

ძველი დედაქალაქი

დიდგენეს
გიგლოთუქა

იასუნარი კავაბატა
ძველი დედაქალაქი

Yasunari Kawabata
The Old Capital
KOTO

川端 康成

古都

იაპონურიდან თარგმნა თათია მემარნიშვილმა

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე
დამკაზადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი

JAPAN FOUNDATION  国際交流基金

ნიგნი გამოიცა იაპონიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

後援：独立行政法人国際交流基金

© The Heirs of Yasunari Kawabata, 1961-1962
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-924-8

www.diogene.ge

სარჩევი

გაზაფხულის ყვავილები	7
დედათა მონასტერი და ხის ცხაური.....	25
კიმონოების ქალაქი	45
კიტაიამის კედრები	67
გიონის დღესასწაული	87
შემოდგომის ფერები	110
ფიჭვების სიმწვანე	130
გვიანი შემოდგომა. დები.....	154
ზამთრის ყვავილები	170

გაზაფხულის ყვავილები

ჩიეკომ ბებერ ნეკერჩხლის ხეზე იები შენიშნა.

– აი, წელსაც აყვავდნენ! – სიხარულით შეისუნთქა გაზაფხულის ნაზი სურნელი.

პატარა ბაღში ეს ნეკერჩხლის ხე მეტისმეტად დიდი ჩანს. მისი ღერო ჩიეკოს წელზე ბევრად მსხვილია. თუმცა ჩიეკოს წერწეტი ტანთან რა მოსატანია ბებერი ხის ხეშეში ქერქით დაფარული ღერო.

ზუსტად ჩიეკოს წელის დონეზე ნეკერჩხლის ღერო ოდნავ გადახრილა მარჯვნივ, მის თავს ზემოთ კი მკვეთრად გადაზნექილა და რკალივით მოხრილა. ამ ადგილიდან ყველა მხარეს განვდილან ტოტები და მთელ ბაღს გადაჰფარებინან. საკუთარი სიმძიმისგან დანეული გრძელი ტოტები წვეროებით მიწას ეხებინან.

ცოტა ქვემოთ, ღეროზე, ორი ფულურო მოჩანს და ამ ფულუროებში ფესვები გაუდგამს იის ორ პანანა ბუჩქს, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე ყვავის. ჩიეკოს რაც თავი ახსოვს, ამ ხეზე იის ეს ორი ბუჩქი სულ არის.

ზედა და ქვედა ბუჩქებს ერთმანეთისგან ერთი მტკაველი აშორებს. მას შემდეგ, რაც წამოიზარდა, ჩიეკო ხშირად ეკითხება თავის თავს: „ნეტავ, ზედა და ქვედა იები ოდესმე თუ შეხვდებიან ერთმანეთს? ნეტავ, თუ იციან ერთმანეთის არსებობის შესახებ?“ მაგრამ რას შეიძლება ნიშნავდეს ყვავილისთვის სიტყვა „შეხვედრა“ ან „არსებობა“?

სულ ცოტა – სამი თუ ხუთი – ყვავილი იშლება ხოლმე. მაგრამ ნეკერჩხლის ფუღუროებში ყოველ გაზაფხულზე ისევ და ისევ ჩნდება ახალი კვირტები და იებიც იფურჩქნება. ჩიეკო მათ ან ვერანდიდან უცქერს, ან ხესთან დგება – ქვედა ბუჩქიდან ზედასკენ ააყოლებს ხოლმე თვალს და ხან იების სიცოცხლისკენ სწრაფვა აკვირვებს, ხან კი მათი მარტოსულობა ადარდიანებს.

„ასეთ ადგილას ამოზრდილან და მაინც ცოცხლობენ...“ – ჩურჩულებს იგი.

მალაზიაში შემოსულ სტუმრებს ხიბლავდა ნეკერჩხლის სილამაზე, მაგრამ თითქმის ვერავინ ამჩნევდა ფუღუროში აყვავებულ იებს. ბებერი ხის მძლავრი ვარჯი გაოცებას იწვევდა, ხოლო მწვანე ხავსით შემოსილი ღერო, თავისი დახვეწილობით, მოწინების გრძნობას ბადებდა. ამ დიდებულებისა და მშვენიერების ფონზე, მოკრძალებული იების ორი პატარა ბუჩქი, რომელიც ხეს შეკედლებოდა, ყურადღების მიღმა რჩებოდა.

მაგრამ პეპლებმა იცოდნენ. ზუსტად იმ წამს, როცა ჩიეკომ ხეზე გაშლილი იები აღმოაჩინა, თეთრი ფარვანების გუნდი, რომელიც დაბლა დაფარფატებდა, იებს მიუახლოვდა. ნეკერჩხლის ხეზეც უკვე პატარა მოწითალო კვირტები აფეთქებულიყო და მათ ფონზე ფარვანების გუნდის სითეთრე განსაკუთრებით იზიდავდა თვალს. ღეროს ხასხასა მწვანე ხავსს იების ფოთლებისა და ყვავილების მკრთალი ჩრდილი ეცემოდა.

გაზაფხულის ალერსიანი, თბილი დღე იდგა.

ფარვანებიც გაფრინდნენ, მაგრამ ჩიეკო ისევ იჯდა და იების ცქერით ტკბებოდა.

– გამადლობთ, რომ წელსაც ასე ლამაზად გაიფურჩქნეთ! – ჩურჩულებდა უხმოდ.

იების ქვეშ, ზუსტად ნეკერჩხლის ძირში, ქვის ძველი ფარანი დგას. ფარნის ქვის ქვესადგამის ქვედა ნაწილში პატარა ქანდაკებაა ამოკვეთილი. მამამ ჩიეკოს აუხსნა, რომ ეს ქრისტეა.

– თუ მარიამ ღვთისმშობელი? – ჩაეკითხა ჩიეკო, – იტანოს ტენჯინსანის ტაძარში დიდი ქანდაკება რომ დგას, იმას ჰგავს ძალიან.

– ქრისტეაო, როგორც ვიცო, – მოუჭრა მამამ, – ყრმაც არ უჭირავს.

– მართლაც... – დაეთანხმა ჩიეკო, – ჩვენს წინაპრებს შორის ქრისტიანები იყვნენ?

– არა, ეს ფარანი, ალბათ, მებაღემ ან ქვის მთელელმა მოიტანა და დადგა. რამე იშვიათობაც არ უნდა იყოს.

ეს ფარანი, ალბათ, იმ დროს იყო გაკეთებული, ქრისტიანები რომ იდეენებოდნენ¹. ასეულობით წლის ქარსა და წვიმას გაეცვითა მსხვერვადი ქვა და ახლა ოდნავლა თუ ჩანს თავის, ტანისა და ფეხების მოხაზულობა. დიდად დახვეწილ ნამუშევარს არ ჰგავს. სამოსს იმსიგრძე სახელოები აქვს, თითქმის კალთამდე სწვდება. როგორც ჩანს, ფიგურას ოდესლაც ხელისგულები სალოცავად ჰქონია შეტყუებული, რადგან იმ ადგილას, სადაც თავის დროზე ისინი უნდა ყოფილიყო, ერთგვარი გამსხვილება შეინიშნება. მოკლედ, ის არაფრით ჰგავს ბუდას ან ჯიძოს² გამოსახულებას.

არავინ იცის, ამ ფარანს ოდესლაც ქრისტიანები ეთაყვანებოდნენ თუ ის, უბრალოდ, უცხო ქვეყნიდან მოტანილი სამშვენისი იყო. ახლა ის ბებერი ნეკერჩხლის ფესვებთან, იების ქვეშ, ჩიეკოს მშობლების კუთვნილ ბაღში მხოლოდ იმის წყალობით აღმოჩნდა, რომ ძველებური ელფერი აქვს. თუ რომელიმე კლიენტი მიაჩერდებოდა, ჩიეკოს მამა მოკლედ უხსნიდა ხოლმე, ქრისტეს ქანდაკებააო. მაგრამ ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთები, ვისაც ნეკერჩხლის ძირას უბრალო ქვის ფარნის შემჩნევა შეეძლო. რომც შეენიშნათ, მერე რა – ბაღებში ერთი-ორი ქვის ფარანი ისედაც ყოველთვის დგას ხოლმე.

ჩიეკომ იებს თვალი მოსწყვიტა და ქრისტეს ქანდაკებას მიაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ მისიონერების სკოლაში არ უსწავლია, ჩიეკო ინგლისურ ენაში ერკვეოდა, რადგან ქრისტიანულ

¹ ქრისტიანობა იაპონიაში ოფიციალურად აკრძალული იყო 1612-1873 წწ.

² ჯიძო – ბუდიზმში ბავშვების, მგზავრებისა და მინისქვეშა სამყაროს მფარველი ღვთაება.

ეკლესიაში დადიოდა და ძველი და ახალი აღთქმის წიგნებსაც კი კითხულობდა. მისი აზრით, ამ ძველი ფარნის სადგამზე ამოკვეთილი ქრისტეს გამოსახულების წინ სანთლების ანთება ან ყვავილების დადება არ ივარგებდა, რადგან მასზე ჯვარი არ იყო ამოტვიფრული.

ხანდახან ფიქრობდა, რომ ქრისტეს ქანდაკების თავთან ამოსული იები მარიამ ღვთისმშობლის გულია. ჩიეკომ ფარნიდან მზერა ისევ იებზე გადაიტანა... და უეცრად ის ქრიჭინები გაახსენდა, ძვლებურ ქოთანში რომ ზრდიდა.

ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, როცა ჩიეკო თავის სკოლის მეგობარ გოგონასთან იყო სტუმრად, ქრიჭინების ხმა გაიგონა. მეგობარმა რამდენიმე ქრიჭინა აჩუქა. მას მერე დაიწყო ყველაფერი.

– ამ ბნელ ქოთანში ცოდოები არ არიან? – შეწუხდა მაშინ ჩიეკო, რაზეც მეგობარმა მიუგო, გალიაში გამომწყვდევას და იქ სიკვდილს ასე ჯობიაო.

ჩიეკომ გაიგო, რომ ზოგ ბუდისტურ ტაძარში სპეციალურად ამრავლებენ ქრიჭინებს და მათ კვერცხებს ყიდიან. როგორც ჩანს, იაპონიაში ქრიჭინების ბევრი მოყვარულია.

ჩიეკოს ქრიჭინები გამრავლდნენ და მეორე ქოთანიც დაიკავეს. ისინი პირველი ივლისისთვის იჩეკებოდნენ და აგვისტოს შუა რიცხვებიდან უკვე ქრიჭინს იწყებდნენ.

ეს არსებები ერთსა და იმავე ბნელ, ვიწრო ქოთანში იჩეკებოდნენ, ქრიჭინებდნენ, მრავლდებოდნენ და კვდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ასე სახეობას გადარჩენის შანსი ეძლეოდა და გალიაში ხანმოკლე სიცოცხლესა და ერთ თაობაში გადაშენებას, ალბათ, ეს სჯობდა. მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო მთელი სიცოცხლის პატარა ქოთანში გატარება, რომელიც მათთვის მთელ სამყაროს შეადგენდა...

მოთხრობა „ქოთანში მოქცეული სამყაროს“ შესახებ ძველ ჩინეთში დაიბადა. ჩიეკომ იცოდა მისი შინაარსი: ეს საოცარი ქოთანი ოქროს სასახლეებითა და იასპის ციხე-კოშკებით დამშვენებული, მთისა თუ ზღვის საუკეთესო სასმელ-საჭმლით სავსე, ერ-

თი სიტყვით, სრულიად განსხვავებული, მშვენიერი, ამქვეყნიური ამაოებისგან მოწყვეტილი სამყარო იყო... ასეთია ეს მოთხრობა – გრძნეულებისა და განდეგილების შესახებ ზღაპართაგან ერთ-ერთი.

ცხადია, ჭრიჭინები ამ სამყაროს მიმართ სიძულვილის გამო არ მოხვედრილან ქოთანში და, საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სად არიან. ისინი, უბრალოდ, არსებობდნენ. სხვანაირი არსებობა არ იცოდნენ.

ყველაზე მეტად ერთი რამ აკვირვებდა ჩიეკოს: როგორც აღმოჩნდა, თუ ერთსა და იმავე ჭრიჭინებს ქოთანში ხანგრძლივად გააჩერებ და დროდადრო გარედან მოყვანილ მამალ ინდივიდებს არ ჩაუსვამ, შთამომავლობა თანდათან გადაგვარდება. მიზეზი, ალბათ, სისხლით ნათესავებს შორის ხშირად განმეორებადი ქორწინებაა. ამის ასარიდებლად ჭრიჭინების მოყვარულები ერთმანეთში ცვლიან მამლებს.

ახლა გაზაფხულია და არა შემოდგომა, როცა ჭრიჭინები „სიმღერას“ იწყებენ, მაგრამ ნეკერჩხლის ფულუროში აყვავებულმა იებმა ტყუილად როდი გაახსენა ჩიეკოს ჭრიჭინებიანი ქოთანი.

ჭრიჭინები თვითონ ჩიეკომ ჩასხა იმ ვიწრო და ბნელ ქოთანში, მაგრამ იები? რამ ამოიყვანა ისინი ესოდენ შეუფერებელ ადგილას? თუმცა იები ისევ ყვავიან და შემოდგომაზე ახალი ჭრიჭინებიც ისევ დაიჩეკებინ...

„სიცოცხლის წრებრუნვა?...“ – ჩიეკომ გაზაფხულის მსუბუქი ნიავისგან აწეწილი თმა ყურზე გადაინია – „...და მე?“ – გაიფიქრა მან, – „მე რით განვსხვავდები იებისა და ჭრიჭინებისგან?“

ბუნების გამოღვიძების ამ მშვენიერ დღეს, ჩიეკოს გარდა, არავის შეუშინებია პატარა ბუჩქებზე გაშლილი იები – გაზაფხულის ეს მოკრძალებული მახარობლები.

მალაზიიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა. ეტობოდა, სასადილოდ ემზადებოდნენ.

ჩიეკოს გაახსენდა, რომ პაემანი ჰქონდა დანიშნული და ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავიდა.

ამას წინათ შინიჩი მიძუკიმ დაურეკა და ჰეიანის ტაძართან³ ჰანამიზე⁴ დაპატიჟა. შინიჩის მეგობარს ორი კვირის წინ ტაძრის ბალის მეკარედ დაენწო მუშაობა. შინიჩის მისგან შეეტყვო, რომ საკურები უკვე სრულად აყვავებულიყო.

– ჩასაფრებული ელოდა, როგორც ჩანს. მენდე, უტყუარი ინფორმაციაა. – ხმადაბლა გაიცინა შინიჩიმ. მისი წყნარი სიცილი სასიამოვნო მოსასმენი იყო.

– ჩვენც ჩაგვისაფრდება ეგ შენი მეგობარი? – ჰკითხა ჩიეკომ.

– ჭიშკარში დგას. მეკარეა, ხალხს ბაღში უშვებს, – ისევ გაიცინა შინიჩიმ, – თუ გული გეთანაღრება, ცალ-ცალკე წავიდეთ. შიგნით კი, ბაღში, რომელიმე ხის ქვეშ შევხვდეთ. ისეთი ყვავილებია, სანამ მოხვალ, მარტომაც რომ ვუყურო, არ მომბეზრდება.

– თუ ასეა, სულაც მარტო ხომ არ წახვიდოდი?

– შეიძლება. ისე, ამაღამ თუ იწვიმა და სულ ჩამოყარა ის ყვავილები, ჩემი ბრალი არ იქნება...

– მაშინ დაცვენილყვავილებიანი პეიზაჟით დავტკებით.

– წვიმისგან ჩამოყრილი და დასვრილი ყვავილები დაცვენილყვავილებიანი პეიზაჟია?

– ოჰ, რა ცუდი ბიჭი ხარ!

– ვინ?! მე?!

ჩიეკომ მოკრძალებული კიმონო შეარჩია და სახლიდან გავიდა.

ჰეიანის ტაძარი, რომელიც ფართოდაა ცნობილია თავისი „ეპოქების დღესასწაულით“, ძველ ტაძრად არ ითვლება. ის მეიჯის ოცდამერვე წელს (1895) ააგეს იმპერატორ კამუს საპატივცემულოდ, რომელმაც ათასზე მეტი წლის წინ დედაქალაქი ჰეიანში (დღევანდელ კიოტოში) გადმოიტანა. ტაძრის შესასვლელი კარიბჭე და შიდა სამლოცველო ჰეიანის კარიბჭის, ოტემონის, და დაიგოკუდენის სასახლის ასლებია. იაპონური მანდარინის ხეც ზუსტად

³ ჰეიანის ტაძარი – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შინტოისტური ტაძარი კიოტოში.

⁴ ჰანამი – საკურის ყვავილებით ტკობა გაზაფხულზე.

ისე დაურგავთ შესასვლელის მარჯვნივ, საკურა კი – მარცხნივ, როგორც ჰეიანის სასახლეში. შოვას მეცამეტე წელს (1938) ტაძარს იმპერატორ კომეის სახელიც დაემატა, რომლის გარდაცვალების შემდეგ დედაქალაქი ედოში – დღევანდელ ტოკიოში – გადაიტანეს. ჰეიანის ტაძრის ბალი ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი გახდა, სადაც საქორწინო რიტუალებიც ხშირად ტარდება.

ბალს განსაკუთრებით მტირალა საკურების ხეივანი ამშვენებს. ტყუილად კი არ ამბობენ, „კიოტოში ბევრი ყვავილია, მაგრამ აქაურნი საკურა გაზაფხულის ნამდვილი მაცნეა“.

ჩიეკო ტაძრის ეზოში შევიდა და გაირინდა, თვალი ვერ მოსწყვიტა მტირალა საკურებს. ულამაზესმა ვარდისფერმა ყვავილებმა სული სიამით აუვსო. „აჰა, წელსაც ხომ შევეგებე კიოტოს გაზაფხულს!“ – ჩურჩულებდა თავისთვის.

ჩიეკომ არ იცოდა, შინიჩი სად ელოდებოდა ან, საერთოდ, მოვიდა უკვე თუ არა. გადანწყვიტა, ჯერ შინიჩის მოვძებნი და მერე დავტკებები ყვავილების ცქერითო და ამიტომ აყვავებულ ხეებს შორის, ბილიკზე დაეშვა.

შინიჩი იქვე დახვდა, ხეებქვეშ, მოლზე წამოწოლილი. ხელები თავქვეშ ამოედო და თვალდახუჭული იწვა.

ჩიეკო არ მოელოდა შინიჩის ასეთ პოზაში დანახვას. არ ესიამოვნა. კაცმა ახალგაზრდა ქალიშვილს პაემანი დაუნიშნოს და მინდორზე წამოგორებული დახვდეს! და საქმე მარტო ის არ არის, რომ ეს გაუზრდელობაა და შეურაცხმყოფელია. ჩიეკოს უფრო წამოწოლილი მამაკაცის დანახვა ეუხერხულა. ცხოვრებაში ასეთი რამ ჯერ არ ენახა. მერე კიდევ ის იფიქრა, ალბათ, ასე იქცევა უნივერსიტეტის ეზოშიც – მოლზე წამოწოლილი ეკამათება თავის მეგობრებს მეცნიერულ საკითხებზეო. ახლაც, ალბათ, თავის ჩვეულ პოზაში წევს. ადგილიც რომ კარგი შეურჩევია: მის გვერდით რამდენიმე მოხუცი ქალი ჩამომჯდარიყო და ტკბილად ჭუკჭუკებდნენ. როგორც ჩანს, შინიჩის ამ ბებოების მიმართ სიმპათია გაუჩნდა და მათ გვერდით ჩამოჯდა, მერე კი წამოწვა და ჩასთვლიმა.

როგორც კი ეს წარმოიდგინა, წყენამ მაშინვე გაუარა და კინალამ გაეცინა კიდეც, მაგრამ თავი შეიკავა და სახე წამოუწითლდა. შინიჩის გაღვიძებას მოერიდა და ცოტა ხანს თავზე ადგა მღუმა-რედ, მერე კი წასვლა დააპირა. ასე ახლოდან მიძინარე მამაკაცის სახე აქამდე არასოდეს ენახა.

შინიჩის უნივერსიტეტის სტუდენტის ქურთუკი ეცვა. ლილები ბოლომდე შეეკრა, თმა მოხდენილად დაეყენებინა. გრძელი წამწამები ერთმანეთში გადახლართოდა და პატარა ბიჭს ჰგავდა.

– ჩიეკო-სან! – შეჰყვირა შინიჩიმ და საჩქაროდ წამოხტა. ჩიეკომ წამსვე გაბრაზებული სახე მიიღო..

– ასეთ ადგილას ძილის როგორ არა გრცხვენია?! ყველა გამ-ვლელი მოგჩერებოდა.

– არ მეძინა. ისიც კი ვიცო, როდის მოხვედი.

– აუტანელი ხარ!

– მე რომ არ დამეძახა, რას აპირებდი?

– დამინახე და მაინც თავი მოიმძინარე?

– გავფიქრე, ეს რა ბედნიერი გოგონა მადგას-მეთქი თავზე, მე კი ცოტა დავსევდიანდი. თანაც, თავი მტკივა ცოტა...

– ვინაა ბედნიერი? მე?

– ...

– ანუ თავი აგტკივდა?

– არაფერია, გამიარა უკვე.

– მგონი, სახეზეც ცუდი ფერი გადავეს.

– არა, არაფერია.

– სახე ხმლის პირივით გიპრიალეხს.

მისი სახე ადრეც მიუმსგავსებიათ ხმლისთვის, თუმცა ჩიეკოსგან ასეთი რამ პირველად ესმოდა. ამას ყოველთვის ისეთ დროს ეუბნებოდნენ, როცა შიგნიდან რალაც გზნებით იწვოდა.

– ეს ხმალი დღეს ხალხს არ ერჩის. დღეს ყვავილების სანახავად ვართ აქ. – გაიცინა შინიჩიმ.

ჩიეკო პატარა აღმართით ბალის გალერეისკენ გაემართა. შინიჩიც უკან გაჰყვა.

– ყველა საკურის ნახვა მინდა. – გამოაცხადა ჩიეკომ.

დასავლეთ გალერეის შესასვლელთან თუ დადგები, აყვავებული ალუბლები დაუყოვნებლივ გაზაფხულის საბურველში გაგახვევენ. აი, ესაა ნამდვილი გაზაფხული! დახრილი ტოტები წვეროებამდე ისე დახუნძლულა ხავერდოვანი ვარდისფერი ყვავილებით, თითქოს ისინი კი არ გაშლილა ტოტებზე, არამედ ტოტები შექმნილა საგანგებოდ მათთვის.

– აი, აქაური საკურები მიყვარს ყველაზე მეტად, – თქვა ჩიეკომ და შინიჩი იქით წაიყვანა, საითაც მკვეთრად უხვევდა გალერეა. იქ უზარმაზარი საკურა იდგა, ფართოდ გადაშლილი ტოტებით. შინიჩი გვერდით ამოუდგა ჩიეკოს და ხეს შეაცქერდა.

– შეხედე, ეს ხე ქალურობის განსახიერება არ არის? ეს დახრილი, მოქნილი ტოტები და თავად ყვავილებიც როგორი ნაზია და ალერსიანი, – ჩაილაპარაკა შინიჩიმ.

ამ საკურის ვარდისფერ ფაფუკ ყვავილებს ალაგ-ალაგ მკრთალი იისფერიც დაჰკრავდა.

– დღემდე არ დავეკირვებივარ, მართლა ასეთი ქალური თუ იყო ამ თავისი თვალწარმტაცი ყვავილობით... – დაამატა შინიჩიმ.

საკურას მოშორდნენ და ტბორისკენ გაემართნენ. იმ ადგილას, სადაც გზა ვიწროვდებოდა, მოლზე დასაკეცი სკამები დაედგათ და ძონისფერი ხალიჩა გაეშალათ. სკამებზე დამთვალიერებლები ჩამომსხდარიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ.

– ჩიეკო-სან, ჩიეკო-სან! – ხეების ჩრდილში საგულდაგულოდ მიმალული ჩოშინტიდან⁵, სადაც ჩაის ცერემონია მიმდინარეობდა, ჩიეკოს მეგობარი გოგონა, მასაკო გამორბოდა. გოგონა გრძელსახელოებიან, მოხდენილ კიმონოში იყო გამოწყობილი.

– ჩიეკო-სან, შენი დახმარება მჭირდება! ისე დავიღალე! დილიდან სენსეის⁶ ვეხმარები სტუმრებთან.

⁵ ჩოშინტი (იაპ.) – წმინდა გულის ნავსაყუდელი.

⁶ სენსეი – აქ: ჩაის ცერემონიის ოსტატი.

– ასეთ ფორმაში მხოლოდ ჩაის ჭურჭლის გარეცხვაში შემიძ-
ლია დაგეხმარო, – მიუგო ჩიეკომ.

– იყოს ჭურჭლის გარეცხვა... ან იქნებ ჩაის დაყენებაში მო-
მეხმარო?

– მარტო არ ვარ.

მასაკომ ახლალა შენიშნა შორიახლოს მდგომი შინიჩი და ჩიე-
კოს უჩურჩულა:

– შენი საქმაროა?

ჩიეკომ თავი ოდნავ გააქნია.

– კარგი ადამიანია?

ჩიეკომ თავი დაუქნია.

შინიჩიმ ზურგი შეაქცია გოგონებს და აუჩქარებლად განაგ-
როძო გზა.

– იქნებ შემოხვიდეთ და დასხდეთ? ორივე ერთად... ახლა
მაინც ცოტა ხალხია, – შესთავაზა მასაკომ.

ჩიეკომ იუარა და შინიჩის დაენია.

– ჩემი მეგობარია ჩაის ცერემონიის გაკვეთილებიდან. ლამაზი
გოგოა, არა?

– ისე, რა.

– ჩუ, ასე ხომ შეიძლება, გაიგონოს?! – ჩიეკო პავილიონთან
მდგომ მასაკოს მიუტრიალდა და თვალი ჩაუკრა.

ბილიკით ტბორამდე მივიდნენ. ზედ წყლის ნაპირთან მწვანედ
ხასხასებდნენ ზამბახების ხმლისებრი ფოთლები, წყნარად ირხეოდ-
ნენ დუმფარები, რომელთა ფოთლებს ტბორის მთელი ზედაპირი
დაეფარათ. ტბორთან საკურები არ იზრდებოდნენ.

ჩიეკომ და შინიჩიმ ტბორს შემოუარეს და ვიწრო, დაჩრდი-
ლულ გზაზე გადავიდნენ. ფოთლების ჩრდილში ნახევრად ბნე-
ლოდა. ნორჩი ბალახისა და ნესტიანი მიწის სუნი იდგა. გზამ
ისინი ვრცელ ბაღთან მიიყვანა. ბაღის შუაგულში ტბორი იყო –
იმაზე უფრო დიდი, ვიდრე პირველი. და იქაურობა უცებ გაანათა
ტბორის მოსარკული ზედაპირიდან არეკლილმა საკურის ყვავი-
ლებმა.

უცხოელი ტურისტები წამდაუნუმ აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს.

ტბორის ორივე ნაპირზე, ხეებს შორის მოკრძალებულად იჭვრიტებოდნენ ანდრომედას თეთრი ყვავილები. ჩიეკოს ნარა მოაგონდა. ირგვლივ უამრავი მომცრო ტანის, მაგრამ ლამაზი ფორმის ფიჭვი იზრდებოდა. საკურის ყვავილობა რომ არა, უეჭველად ფიჭვების სიმწვანე მოგტაცებდათ თვალს. თუმცა სწორედ ამ პერიოდში, ფიჭვების ხასხასა სიმწვანისა და ტბის კამკამა წყლის ფონზე იკვეთება ხოლმე უფრო მკაფიოდ საკურის ყვავილების ფერი.

შინიჩი წინ წავიდა და წყლიდან ამოჩრილი ქვებით ტბორზე გადასვლა დაიწყო. ამ ქვებს სავატარის, ანუ „ჭაობზე გადასასვლელს“ ეძახდნენ. ბრტყელი ქვები იყო, მრგვალი ფორმის, თითქოს ტორიის⁷ ბოძები დაუჭრიათ და აქ ჩაუმწკრივებიათო. ჩიეკოს კიმონოს კალთების აკეცვა მოუხდა..

– ხელში აგიყვანდი და ისე გადაგიყვანდი... – შემოტრიალდა შინიჩი.

– სცადე. დიდად დამავალე. – გამოაჯავრა ჩიეკომ.

ცხადია, ისეთი ქვები იყო, მოხუცი ქალიც ადვილად გადავიდოდა.

ქვებთან ახლოს დუმფარის ფოთლები ტივტივებდა, მოპირდაპირე ნაპირთან კი წყლის ზედაპირზე ფიჭვების ანარეკლი მოჩანდა.

– ეს ქვები წყალში აბსტრაქტულ ნახატს ჰგავს, არა? – თქვა შინიჩიმ.

– როგორც ამბობენ, ყველა იაპონური ბალი აბსტრაქტული ყოფილა... დაიგოჯის ტაძრის ბალის კედლების ხავსი გაიხსენე. ვისაც არ ეზარება, ყველა „აბსტრაქტულ ნახატს“ გაიძახის... თავი მომაბეზრეს...

– ჰოო, ეგ ხავსი მართლაც აბსტრაქტულობის შთაბეჭდილებას ახდენს. სხვათა შორის, ამ დღეებში დაიგოჯის ტაძარში ხუთთარუსიანი პაგოდის რესტავრაცია მთავრდება და საზეიმო ცერემონია გაიმართება. წავიდეთ სანახავად?

⁷ ტორიი – შინტოისტური ტაძრის კარიბჭე.

– ახალი კინეკუფივით⁸ კაშკაშა იქნება დაიგოჯის პაგოდაც?
– არა, კინეკუფისგან განსხვავებით, ეს პაგოდა ხომ არ დამწვარა... ამიტომ მხოლოდ დაშალეს და ხელახლა ააწყვეს. საზეიმო გახსნა ზუსტად შუა ყვავილობას ემთხვევა და კარგა ბლომად ხალხიც იქნება.
– რაც არ უნდა იყოს, აყვავებულ მტირალა საკურას ვერაფერი შეედრება...

ქვებით მოპირდაპირე ნაპირზე გადავიდნენ, ფიჭვნარამდე და „ხიდ-სასახლეს“ მიადგნენ. ამ ხიდს ასე იმიტომ ეძახიან, რომ ფორმით სასახლეს მოგაგონებთ, მაგრამ სხვა სახელიც აქვს – „სიმშვიდის სასახლე“. ხიდის მოაჯირების გასწვრივ დაბალზურგიანი სკამები იდგა, რომლებზეც დამთვალიერებლები დასასვენებლად სხდებოდნენ. აქედან შესანიშნავი ხედი იშლებოდა. ბალის შორეული კუთხეც მოჩანდა, ტბორს მიღმა.

დამსვენებლები ჭამდნენ და სვამდნენ. ხიდზე ბავშვებიც მირბი – მორბოდნენ.

– შინიჩი-სან, შინიჩი-სან! აქეთ... – ჩიეკო პირველი ჩამოჯდა სკამზე და შინიჩის ხელით გვერდით გათავისუფლებულ ადგილზე ანიშნა.

– არა უშავს, ვიდგები. თუმცა თქვენ ფერხთით ჯდომა მირჩევნია, ქალბატონო! – გაიხუმრა შინიჩი.

– ვითომ არ გამიგონია, – ჩიეკო წამოდგა და შინიჩი ძალით დასვა, – კობრებისთვის საკვებს ვიყიდი და მოვალ.

მალევე დაბრუნდა და ტბორში საკვების ჩაყრა დაიწყო, რაზეც კობრების მთელი გუნდი მოცურდა. ზოგიერთი მათგანი წყლიდან ამოხტომასაც კი ლამობდა. წყლის ზედაპირზე წრეები გავრცელდა და საკურებისა და ფიჭვების ანარეკლი შეარხია.

– არ გინდა, აჭამო? – დარჩენილი საჭმელი ჩიეკომ შინიჩის გაუწოდა.

⁸ კინეკუფი – იგივე ოქროს ტაძარი, ძენ-ბუდისტური ტაძარი კიოტოში, რომელიც 1950 წელს ბუდისტმა ბერმა გადაწვა და 1955 წელს სრულად აღადგინეს.

შინიჩიმ არაფერი უპასუხა.

– მიბრაზდები?

– არა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. შინიჩი ჩაფიქრებული დასჩერებოდა წყლის ზედაპირს.

– რაზე ჩაფიქრებულხარ?

– არაფერზე. ხომ არის ისეთი მშვენიერი წუთები, როდესაც არაფერზე ფიქრობ?

– ასეთი, ყვავილებით სავსე წუთები...

– არა. როცა ბედნიერ ქალიშვილს უზიხარ გვერდით... შენ თვითონაც ბედნიერი სინყმანვილის სითბო გადაგედება.

– მე ვარ ბედნიერი? – გაუკვირდა ჩიეკოს და შეეცრად თვალებში სევდის აჩრდილი გაუკრთა. თავდახრილი იყო და, შესაძლოა, წყლის ლივლივი აირეკლა მის თვალებში.

ჩიეკო წამოდგა.

– ამ ხიდს გადალმა ჩემი საყვარელი საკურა დგას.

– ალბათ, აი, ის. აქედანაც ჩანს.

ეს საკურა მართლაც საოცრად მშვენიერი იყო. ტოტები ისე ჩამოშვებოდა, როგორც მტირალა ტირიფს. ჩიეკო მის ტოტებქვეშ რომ შევიდა, უცებ მოვარდნილმა მსუბუქმა სიომ მხრებსა და ფეხებთან საკურის ფურცლები დააყარა. ჩამოცვენილი ყვავილები ხის ძირასაც იყო მოფენილი. წყალშიც ტივტივებდა რამდენიმე ცალი. ჩამოზნექილ ტოტებს ბამბუკის სარები ჰქონდა შეყენებული, მაგრამ მათი ყვავილებით შემკული წვრილი წვეროები მაინც მიწამდე დასთრევდა.

ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს შორის მწვანით შემოსილი მთის მწვერვალი მოჩანდა.

– ეს ჰიგაშიამის გაგრძელებაა, ალბათ, არა? – იკითხა შინიჩიმ.

– დაიმონჯის მთაა, – უპასუხა ჩიეკომ.

– ჰოო? დაიმონჯია? რალაც უფრო მაღალი ჩანს, არადა...

– ყვავილებში ჩაფლული გაჰყურებ და, ალბათ, ამიტომ გეჩვენება ასე... – მიუგო ჩიეკომ, რომელიც თავადაც ყვავილებში ჩაფლული იდგა.

არც ერთს არ სურდა ადგილიდან ფეხის მოცვლა.

ცოტა მოშორებით მიწაზე თეთრი, მსხვილი ქვიშა ეყარა, მარჯვნივ კი ამ ბალისთვის მეტისმეტად მაღალი ფიჭვები მოჩანდა.

ოტემონის კარიბჭიდან რომ გავიდნენ, ჩიეკომ თქვა:

– კიომიძუდერის ტაძარში ხომ არ წავსულიყავით?

– კიომიძუდერაში? – გაუკვირდა შინიჩის. ეტყობოდა, იქ საინტერესო არაფერი ეგულებოდა.

– კიომიძუდერიდან კიოტოს შებინდების ნახვა მინდა. ნიშიამის მთაზე დაისის დანახვა მინდა. – მიაყარა ჩიეკომ. შინიჩი თავს უქნევდა.

– კარგი, წავიდეთ.

– ფეხით წავიდეთ.

წინ საკმაოდ შორი გზა ედოთ. ხმაურიან ქუჩებს მოერიდნენ, ნანძენჯის ტაძრამდე შემოვლითი გზით იარეს, ჩიონინის ტაძარს უკნიდან შემოუარეს და მარუიამის პარკის გავლით, ვინრო ბილიკით, კიომიძუდერის ტაძრამდე მიაღწიეს. ირგვლივ უკვე საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო.

კიომიძუს დიდი ვერანდა, სცენასავით მოედანი, სადაც ტაძრის წარმოდგენები იმართებოდა, თითქმის ცარიელი იყო. სამი-ოთხი სტუდენტი გოგონას გარდა, იქ აღარავინ ჩანდა. მათი სახეები ბინდებულში თეთრად ანათებდა.

ჩიეკოს უყვარდა ასეთ დროს აქ მოსვლა. მათ ზურგსუკან, ტაძრის მთავარ შენობაზე ფარნები აინთო. ჩიეკომ შეუჩერებლად გადაკვეთა დიდი ვერანდა, ამიდას ტაძარს წინ ჩაუარა და საკურთხეველთან მივიდა. აქ, ყველაზე შემალლებულ ადგილას, კიდევე ერთი, სცენასავით ვერანდა იყო, პირდაპირ მის უკან კი – ფლატე. ვერანდაც და მისი კვობაროსის ქერქით გადახურული სახურავიც თითქოს თავს დაჰფარფატებდნენ ფლატეს. ვერანდა პატარა იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, აქედან კიოტოსა და ნიშიამის მთის გამაოგნებელი პანორამა იშლებოდა.

ქალაქში უკვე განათება ირთვებოდა, თუმცა ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო.